თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7915796

ნომერი: AR11141721

თარიღი : 07.05.2026

გაცემის თარიღი : 11.05.2026

გაცნობის თარიღი : 12.05.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N82-ის მიმდებარედ, ბაგები, ბაგების მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლაშა გუგეშაშვილი პ/ნ 01027000111
- თბილისი გუმათჰესის ქ. კორ. 15 ბ. 60

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 7 მაისს № AR11141721 განცხადებით ლაშა გუგეშაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის

№7807214 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებით, №01.14.10.001.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.
სამსახურის 2026 წლის 23 აპრილის №7893074 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 4267.1 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 680.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 7972.5 კვ.მ., ხოლო, შეთანხმებული +3.60 - +26.70 ნიშნულების გეგმები (17-24 გვ.) ჩანაცვლდა 2026 წლის 8 აპრილის №AR11137410 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
სამსახურის 2026 წლის 28 აპრილის №7898240 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდა 4267.2 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 693.9 კვ.მ., საერთო ფართობად - 7985.6 კვ.მ. ამასთან, სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებით შეთანხმებული +23.40 და +26.70 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2026 წლის 24 აპრილის №AR11139697 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გასწორებული გეგმებით.
წინამდებარე განცხადებით განმარტებულია, რომ სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ, დამხმარე ფართობი 234.8 კვ.მ-ის ნაცვლად არის 267.8 კვ.მ., საერთო ფართობი 7985.6 კვ.მ-ის ნაცვლად არის 8017.9 კვ.მ.
სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები, ფართობების არასწორი დაჯამების გამო. რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. აღსანიშნავია, რომ მთლიანი საპროექტო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობი შეადგენს არა 8017.9 კვ.მ-ს, როგორც მოთხოვნის ტექსტშია დაფიქსირებული, არამედ 8018.6 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს 267.8 კვ.მ., საერთო ფართობად - 8018.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ ,თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 13 თებერვლის №7807214, 2026 წლის 23 აპრილის №7893074 და 2026 წლის 28 აპრილის №7898240 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.